

რმას რომ ვიცვამდი, მუხლები მიკანკალებდა. ფეხბურთელები მითვალთვალებდნენ და რაღაც საშინელი სირცხვილის გრძნობა მწვაებდა. ძალზე მრცხვენოდა ჩემი გამხდარი ტანისა — მაშინ მე მხოლოდ 60 კილოს ვიწონიდი.

მოედანზე უკანასკნელი გამოვედი, მწკრივში ჩემი ადგილი დავიკავე და ველოდი მწვრთნელის ბრძანებას.

საკმაო ხანს ვივარჯიშეთ. მერე ლულამ ჩავუვებად დაგვეყო და ბურთის თამაში დავიწყეთ.

ფორმივამ მეგობრულად წამჩუროჩულა:

— აბა, ყოჩაღად, ბიჭიკო!

ვიდაცამ, ჩემს უკან რომ მორბოდა, შენიშნა:

— მას უკვე აქვს სახელი!

ბევრგან ითქვა და დაიწერა, რომ მე წვრთნის პირველსავე წუთებში ვბრწყინავდი. ეს მთლად ასე როდია. პირველად ვერც ერთი გოლის გატანა ვერ შევძელი, რადგან წინ თითქმის არ ვთამაშობდი. „კობრებს“¹ შორის ყოფნა ძალიან მანერვიულებდა. სიმხნევე მალე დამიბრუნდა. გადაცემები უფრო და უფრო ზუსტი გამომდიოდა, კომბინაციებსაც კარგად ვაბოლოვებდი.

წვრთნა დამთავრდა. ლულამ განზე გამიხმო და მითხრა:

— ყოჩაღ, ძალიან მომეწონებ, ყმაწვილო!

მე დავიბენი. ვერაფერი ვუპასუხე. მან დაუმატა:

— შენ მხოლოდ წონაში უნდა მოიმატო, მაშინ პირველი კლასის გუნდში ითამაშებ. ახლა კი, ჰაიდა, შხაპი მიიღე და დაისვენე. შემდეგ კიდევ ვილაპარაკებთ.

გასახდელში პეპე შემომხვდა და შემომძახა:

— ყოჩაღ, პელე!

ესა თქვა და ურუბატაოსკენ მიმახედა. ურუბატაო კუთხეში იდგა და თავისთვის რაღაცას ღიღინებდა:

— იცნობ იმას?

— აბა რა. ეგ ხომ ურუბატაოა, — მივუგე მე.

— სწორია, ახლა თუ იცი, რა თქვა მაგან?

¹ „კობრებს“ ბრაზილიელი გულშემატკივრები საუკეთესო ფეხბურთელებს უწოდებენ.

მე თავი გავიქნიე. პეპემ გამიღიმა და მითხრა:

— ასე თქვა, რომ შენ უკვე ბევრს მიეცი სალაპარაკო მასალა და, რომ შენგან ღიღი ფეხბურთელი დადგება.

ზიტომ, დორვალმა, ჟაირმა, პაგაომ და დელ ვეჩიომ დაადასტურეს ეს სიტყვები.

თავს ბედნიერად ვგრძნობდი: ნამდვილ მეგობრებში მოვხვდი. როცა სან-პაულოში მისტუმრებდნენ, ყველა მეუბნებოდა:

— შენ რა, „კობრებთან“ უნდა ივარჯიშო? ნახავ, ბოიკოტს გამოგიცხადებენ და გზას არ მოგცემენ. ყველა დიდი გუნდი ინტრიგანების ბანდაა და მეტი არაფერი!

სულ რამდენიმე დღეც და ამ სიტყვების უსაფუძვლობაში დავრწმუნდი. „სანტოსში“ თბილად მიმიღეს და ხელშეკრულებაც დამიღეს. თვეში ექვსი ათასი კრუზეირო უნდა მიმეღო ბინისა და საჭმლის ჩაუთვლელად.

წვრთნას კვლავინდებურად პროფესიონალებთან განვაგრძობდი ლულას ხელმძღვანელობით. თამაშით კი ჭაბუკთა გუნდში ვთამაშობდი. შემდეგ მოყვარულთა გუნდში გადამიყვანეს. ამ გუნდებში სწორედ ის „პატარა ბიჭი“ ვიყავი, მთელ თამაშს რომ ტონს აძლევდა. პირველმა გამოსვლამ მოზრდილთა გუნდში მომიწია „ვასკო და გამას“ წინააღმდეგ. შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. მე სამი ბურთი გავიტანე. საბოლოოდ ჩვენი ქალაქის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ეს გახლდათ 1956 წელს.

ერთ დღეს, „კობრების“ წვრთნაზე, ლულამ გადაწყვიტა ჩემი თავდასხმაში დაყენება ავად გამხდარი შუამარბის ვალტერის ადგილზე. მე ხელად ავყევი ტემპს და კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ სწორედ წინ თამაში მეხერხებოდა. ამის შემდეგ ლულა არასოდეს აღარ მათამაშებდა უკან. მე ყოველთვის შეტევას ვუძღე და თავში და მოწინააღმდეგის კარს გამუდმებით ვუტევი.

„სანტოსი“ იმ დროს უკვე მომწიფებული გუნდი იყო. პროფესიონალების ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მანგა, ხელვიო და აივანი; რამინო, ფორმიგა და ზიტო; ტიტე, ჟაირი (ან ალვარო), პაგაო, ვასკონსელოსი (ან დელ ვეჩიო), პეპე (ან ტიტე); ალფრედინო ხანდახან ცვლიდა ტიტეს მარჯვენა ფრთაზე.